

შპს „TERO MARITIME AGENCY“-ს

*ინდივიდუალური ფინანსური
ანგარიშგება*

**2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო წლისათვის**

შინაარსი:

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში წარმოდგენილი
ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და დამტკიცების შესახებ ---- 3

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება----- 4-5

საქმიანობის შედეგები ----- 6

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება -----7-8

ფინანსურ ანგარიშგებაზე განმარტებითი შენიშვნები : 9-24

- ზოგადი ინფორმაცია

- მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის განხილვა

- განუსაზღვრელობის შეფასებისათვის გამოყენებული ძირითადი
წყაროები

-. არამატერიალური აქტივები

-. ძირითადი საშუალებები

- ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

- ბიზნეს სესხები

- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

- საკუთარი კაპიტალი

- მოგების გადასახადი

- ფინანსური ანგარიშგების შედგენის შემდეგ მომხდარი მოვლენები
გვერდი

ხელმძღვანელობა პასუხისმგებლობას ღებულობს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „TERO MARITIME AGENCY“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2023 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს 2023 და 2024 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის.

მსს ფასს სტანდარტების შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა იღებს პასუხისმგებლობას:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევას და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;

- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესაძარის და გასაგებ ინფორმაციას;

- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისთვის, რომ მომხმარებელმა გაანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენების და პირობების გავლენა ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;

- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე. ხელმძღვანელობა აგრეთვე იღებს პასუხისმგებლობას:

- კომპანიის ეფექტური და მყარი კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვაზე და შენარჩუნებაზე;

- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს შესაბამისობას;

- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;

- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;

- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წელს 19 სექტემბერს.

დირექტორი

19 სექტემბერი 2025 წ

საქართველო, ქ ბათუმი

ფინანსური
მდგომარეობის
ანგარიში

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საწარმოს დასახელება: შპს „TERO MARITIME AGENCY“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შპს

მისამართი: ქ. ბათუმი კოსტავას ქ 6

საქმიანობის დარგი: მომსახურება - გემების აგენტირება, ტვირთების ექსპედირება

ზომის ერთეული: ლარი

აქტივები		31/12/2024	31/12/2023
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	2	692,220	702,516
არამატერიალური აქტივები	1	399	613
საინვესტიციო ქონება		70,638	72,190
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები		-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		763,257	775,319
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები		16,853	23,652
საფაქრო და სხვა მოთხოვნები	3	87,998	83,458
საგადასახდო მოთხოვნები	4	-	34,878
ფულადი სახსრები და ექვივალენტები		51,253	101,503
სულ მიმდინარე აქტივები:		156,104	243,491
სულ აქტივები:		919,361	1,018,810
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები			
საწესდებო კაპიტალი		1,000	1,000
ძირ საშუალო გადაფასების სარეზერვო		569,472	570,533
აკუმულირებული მოგება-ზარალი		165,353	215,197
გაცემული დივიდენდი		-	-
მიმდინარე მოგება-ზარალი		(180,266)	(49,845)
სულ კაპიტალი და რეზერვები		555,559	736,885
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გადავადებული მოგების გადასახდი			
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			

საეჭრო და სხვა ვალდებულებები	5	353,731	234,677
საგადასახადო ვალდებულებები	6	10,071	47,248
საბანკოსესხა(საკრედი ხაზი)		-	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		<u>363,802</u>	<u>281,925</u>
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		<u>919,361</u>	<u>1,018,810</u>

დირექტორი

თემურ სურმანიძე

საქმიანობის შედეგები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ორგანიზაციის დასახელება: **შპს " TERO MARITIME AGENCY "**
იურიდიული მისამართი: **ქ ბათუმი კოსტავას ქ № 6**
ზომის ერთეული: **ლარი** **ლარი**

		2024წ.	2023წ.
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	7	4,636,303	6,450,876
სხვა საოპერაციო შემოსავალი	8	23,609	46,455
სასაქონლო მარაგების ნაშთის ცვლილება		(6,800)	(17,804)
სასაქონლო-მატერიალური ფასეულების შეძენა		(72,943)	(85,453)
პერსონალის შენახვის ხარჯები		(468,318)	(486,141)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები		(11,199)	(924)
საკუროს სხვაობის ხარჯები		(45,171)	(35,385)
საგადასახადო ხარჯი		(2,513)	(2,509)
შეძენილი მომსახურების ხარჯები		(4,136,815)	(5,800,574)
სხვა საოპერაციო ხარჯი	9	(90,285)	(112,024)
მოგება-ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან		(174,132)	(43,483)
ფინანსური დანახარჯები(კრედიტის პროც)		(3,367)	(4,151)
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე		(177,500)	(47,634)
მოგების გადასახადი	10	(2,766)	(2,211)
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		(180,265.9)	(49,844.6)

დირექტორი
ი

თემურ სურმანიძე

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ორგანიზაციის დასახელება: **შპს "TERO MARITIME AGENCY"**

იურიდიული მისამართი: **ქ. ბათუმი, კოსტავას ქ. № 6**

საქმიანობის სახე: **მომსახურება - აგენტირება**

ზომის ერთეული: **ლარი**

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება პირდაპირი მეთოდით

	2024 წ.	2023 წ.
ფულადი სახსრების ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებიდან მიღებული ფულადი სახსრები	4,664,729	6,582,760
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(218,596)	(246,125)
თანამშრომლებზე გადახდილი ფული	(348,953)	(447,754)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები:	4,097,180	5,888,881
მესამე მხარისათვის გადახდილი ანაზღაურება	(4,047,245)	(5,612,233)
გადახდილი გადასახადები	(140,515)	(69,443)
ფულადი სახსრების ნაკადები განსაკუთრებულ მუხლებამდე	(90,580)	207,205
<i>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</i>	<u>(90,580)</u>	<u>207,205</u>

ფულადი სახსრების ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
მონაწილეობა სხვა საწარმოში	-	-
ძირითადი საშუალებების შეძენა	(803)	(26,804)
არამატერიალური აქტივის შეძენა	-	(265)
<i>წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</i>	<u>(803)</u>	<u>(27,070)</u>

ფულადი სახსრების ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხი-ფ/პ	54,150	20,000
გაცემული სესხი-ფ/პ	(1,500)	(14,000)
მიღებული სესხი-ბანკიდან	-	954,700
სესხის დაფარვა - ბანკიდან	-	(1,042,700)
გადახდილი დივიდენდი	-	-
მიღებული დივიდენდი	-	-

გადახდილი პროცენტები(სესხზე)	(3,192)	(4,151)
მიღებული პროცენტები	1,344	-
საელექტრო გადაფასების შემოსავალი	488	-
საელექტრო გადაფასების ხარჯი	(10,157)	(23,672)
მიღებული ბანკის სესხი	-	-
გაცემული სესხი	-	-
<i>წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან</i>	<u>41,133</u>	<u>(109,823)</u>
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა	<u>(50,250)</u>	<u>70,313</u>
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	<u>101,503</u>	<u>31,190</u>
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	<u>51,253</u>	<u>101,503</u>
დირექტ	თემურ სურმანიძე	

ფინანსურ ანგარიშგებაზე განმარტებითი შენიშვნები :

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „Tero Maritime Agency“ (შემდეგში «კომპანია») არის საქართველოში დაფუძნებული და მოქმედი, ფუნქციონირებადი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. იგი დაარსებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. იურიდიული/ფაქტობრივი მისამართი: საქართველო, ქ. ბათუმი, კოსტავას ქ # 6. კომპანიას ასევე აქვს ოფისი ქ. ფოთში, მ. აბაშიძის ქ 41, ბ # 1.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს : უცხოური და უცხოეთის დამფრახტვების მიერ დაფრახტული გემების აგენტობა და კომპლექსური მომსახურება, ასევე ტვირთების ნაწილობრივი და სრული სატრანსპორტო-საექსპედიტორო მომსახურება, ტვირთების საბაჟო და სატრანსპორტო დოკუმენტების გაფორმების მომსახურება. 2019 წლის მარტის თვიდან კომპანია ახორციელებს ბათუმის და ფოთის ნავსადურებში ბაგირების უცხოურ გემებზე მიწოდებას (სამხრეთ კორეიდან შეძენილი და საბაჟო საწყობში დროებით შენახვის რეჟიმში მყოფი ბაგირების შემდგომ მიწოდებას გემებზე). კომპანიას არ გააჩნია შვილობილი კომპანიები.

კომპანია დაფუძნდა 2009 წლის 15 მაისს და ფუნქციონირებს ფოთისა და ბათუმის ნავსადგურების მეშვეობით. 2024 წლის 29 დეკემბრამდე კომპანიის 50%- იანი წილის მფლობელი იყო სოსო ბოკუჩავა(პ/ნ 61002006460), საქართველოს მოქალაქე, რომელიც აგრეთვე არის კომპანიის მოქმედი დირექტორი. კომპანიის 25%- 25% იანი წილის მფლობელებია ზურაბ სურმანიძე(პ/ნ61001000713) და თეიმურაზ სურმანიძე (პ/ნ 61003001079).

2024 წლის 30 დეკემბრიდან შევიდა ცვლილება მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში (შეიცვალა დირექტორი და წილები) კომპანიის 33%- 33% იანი წილის მფლობელებია ზურაბ სურმანიძე(პ/ნ61001000713) ,თეიმურაზ სურმანიძე (პ/ნ 61003001079) და სოსო ბოკუჩავა(პ/ნ 61002006460), ხოლო 1% ფლობს ,თემურ სურმანიძე (პ/ნ 61001031725), რომელიც აგრეთვე გახდა კომპანიის მოქმედი დირექტორი. ყველა დამფუძნებელი/დირექტორი არის საქართველოს მოქალაქე.

საანგარიშო პერიოდის შემოსავლების შემცირება წინა წლებთან შედარებით გამოწვეულია გარე და შიდა საერთაშორისო ეკონომიკური კრიზისებთან,მათ შორის საერთაშორისო ტვირთბრუნვის შემცირებასთან და სატრანსპორტო ბაზარზე ფასების ცვლილებასთან დაკავშირებით.

კომპანიის ადმინისტრაციამ გაანალიზა საანგარიშო წლის ხარჯები და გეგმავს მოახდინოს მათი შემცირება ისე, რომ აღნიშნული პროცესი არ დააზიანოს კომპანიის მუშაობა. ეკონომიკური მდომარეობა კომპანიაში არის დროებითი და კომპანიის ფუნქციონირებას გრძელვადიან პერიოდში ხელს არ შეუშლის. ასევე

კორონა ვირუსის პანდემიით გამოწვეული გარემოებები უფრო მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული გახადა ჩვენი კომპანიის საქმიანობა.

2. მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის განხილვა მომზადების საფუძველი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში “მსს ფასს”), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე (რომელიც

გამოიყენება მსს ფასს 35-ე განყოფილების “მსს ფასს-ზე გადასვლა”- ფარგლებში). კომპანია ნათლად და უპირობოდ აცხადებს, რომ:

- მას მსს ფასს-ის პირველად გამოყენების თარიღი არის 2018 წლის 01 იანვარი და წინა წელს წარუდგენია ფინანსური ანგარიშგება;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება, რაც ასევე გამოყენებულ იქნება მსს ფასს-ის შემდგომი პერიოდების ფინანსური ანგარიშგების პაკეტის მომზადებისას შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენით. ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს გამოყენებული მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია ქვემოთ არის წარმოდგენილი. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა (იქნება) გამოყენებული ყველა პერიოდის მიმართ, თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული. ფინანსური ანგარიშგების მომზადება მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული საბუღალტრო შეფასებების გამოყენებას. იგი ასევე მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან მსჯელობას კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. საკითხები, რომლებშიც ასახულია ფინანსური შპს “Tero Maritime Agency” ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ანგარიშგებისთვის

მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები და რომლებიც საჭიროებენ მაღალი დონის მსჯელობას და კომპლექსურ მიდგომებს, მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა წარმოადგენს იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტას, რომელშიც იგი ფუნქციონირებს. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (“GEL”).

უცხოურ ვალუტაში განხორციელებულ გარიგებებს კომპანია თავდაპირველად აღრიცხავს ლარში, რომლის კონვერტაციაც ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით. ფულადი მუხლების ანგარიშსწორების ან კონვერტაციის ოპერაციების შედეგად წარმომდგარი ნებისმიერი სხვაობა აისახება არასაოპერაციო შემოსავლების/ხარჯების ანგარიშებზე. ყოველი წლის ბოლოს ხდება ფულადი და არაფულადი მუხლების გადაანგარიშება 31 დეკემბრის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით.

გაცვლითი კურსები	usd	euro
გაცვლითი კურსები 31/12/2023	2.6894	2.9753
გაცვლითი კურსები 31/12/2024	2.8068	2.9306

სავაჭრო მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ ეს თანხები არ ექვემდებარება ამოღებას. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნების გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

შენიშვნა 3

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.24	ნაშთი 31.12.23
1	მოთხოვნები მიწოდებიდან 1410 გამოკლ 1415	68880	61780
2	ავანსად გადახდილი თანხები 3100.	9238	11885
3	წინასწარ გაწეული ხარჯი 1700	1652	1643

4	სხვა მოთხოვნები 1430 1450 1490	4150	8150
	აგანსი 2025 წ ხარჯი 1480	4078	0
	ჯამი	87998.0	83458.0

შენიშვნა 4

საბაღასახალო
მოთხოვნები

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.24	ნაშთი 31.12.23
1	საშემოსავლოს გადასახადი		
2	მოგების გადასახადი	0	0
3	ქონების გადასახადი		
4	მიწის გადასხ		
5	დღგ 3330 3340	25841.7	28764.15
6	სხვა(იმპ გადას -6114 სან კონტ	6114	6114
	ჯამი	31955.7	34878.2

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება შეიცავს მარაგების შეძენის და ტრანსპორტირების ხარჯებს. სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეფასებისათვის კომპანია იყენებს FIFO მეთოდს, ხოლო ხარჯებში ასახვა ხორციელდება ფუნქციური შინაარსის მიხედვით .

	2024 წ	2023 წ
ნედლეული და მასალა		
დაუმთავრებელი წარმოება		
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	16853	23652
ჯამი	16853	23652

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფას და ნებართვას სიხშირის გამოყენებაზე , რომლებიც აისახება დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. არამატერიალური აქტივის ამორტიზირება ხდება სასარგებლო

მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადები შემდეგია: -ნებართვას სიხშირის გამოყენებაზე -1 წელი, ხოლო კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა - 5-10 წელი. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა უნდა განისაზღვროს ხელმძღვანელობის საუკეთესო შეფასების საფუძველზე, მაგრამ ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს.(იხ შენიშვნა # 1)

პირგანდელი ღირებულება

	დასახელება	ნაშთი 31.12.24	შექმენა/გადატანა	გაყიდვა/გადატანა	ჩამოწერა	ნაშთი 31.12.23
1	პროგრამული უზრუნველყოფა	2140	0		0	2140
2	ნებართვა	4000	0			4000
სულ ჯამი:		6140	0		0	6140

დაგროვილი ცვეთა

	დასახელება	ნაშთი 31.12.24	დარიცხვა	გაყიდვა	ჩამოწერა	ნაშთი 31.12.23
1	პროგრამული უზრუნველყოფა	1741	214			
2	ნებართვა	4000	0			4000
სულ ჯამი		5741	214		0	5741

არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულება

	399.000				613.000
--	---------	--	--	--	---------

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალება აღიარდება ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მიწა, შენობა-ნაგებობის მიმართ კომპანია იყენებს გადაფასების მეთოდს, გადაფასების მიზნებისათვის გამოიყენება ელიმინირების მეთოდი.

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით.

აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადები შემდეგია:

- მიწა -განუსაზღვრელი
- შენობა-ნაგებობები -50 წელი
- მოწყობილობა-დანადგარები 10-15 წელი
- სატრანსპორტო საშუალებები 6-7 წელი
- კომპიუტერები და სხვა საოფისე აღჭურვილობა 5-8 წელი
- ავეჯი 10-20 წელი
- სხვა ძირითადი საშუალებები 10-15 წელი

შენიშვნა № 2

ძირითადი საშუალებები მოძრაობა

პირვანდელი ღირებულება

	დასახელება	ნაშთი 31.12.24	შეძენა/გადატ ანა	გაყიდვა/გადა ტანა	ჩამოწე რა	ნაშთი 31.12.23
1	შენობები	131715.95				131716
	საინვესტ ქონება	78367.05				78367.05
2	მანქანა- დანადგარები	5094.92			805.08	5900
3	ოფისის- აღჭურვილობა	55047.39	802.54		527.98	54772.83
4	აგეჯი და სხვა ინვენტარი	12805.34			1100.84	13906.18
5	ტრანსპორტი	22300	0			22300
6	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყ	3815.48				3815.48
7	მიწა	523849				523849
	სულ ჯამი:	832995.130	803	0	2433.9	834626

დაგროვილი ცვეთა

	დასახელება	ნაშთი 31.12.24	ღარიცხვა	გაყიდვა	ჩამოწე რა	ნაშთი 31.12.23
1	შენობები	15074	2609			12465
	საინვესტ ქონება	7729	1552			6177
2	მანქანა- დანადგარები	3334	366.2		805.08	3773
3	ოფისის- აღჭურვილობა	33074	4578		100.72	28597
4	აგეჯი და სხვა ინვენტარი	6176	807		923.62	6292
5	ტრანსპორტი	2203	1561			642
6	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყ	2546	572			1974
	სულ ჯამი:	70137	12046	0	1829.42	59920

ძირითადი საშუალებების საბალანსო
ღირებულება

	762858.330				774706
--	------------	--	--	--	--------

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება, პირველადი აღიარებისას და შემდგომ, აღირიცხება რეალური ღირებულებით,

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მათი გასხვისების დროს ან როდესაც ხდება საინვესტიციო ქონების ექსპლუატაციიდან საბოლოოდ ამოღება და მოსალოდნელი არ არის მათი გასხვისებითსამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის აღიარება ხდება აღიარების შეწყვეტის პერიოდის მოგებაში ან ზარალში

2018 წლის ივლისის თვიდან კომპანიის კუთვნილი შენობა-ნაგებობის ,მდებარე ქ ბათუმში კოსტავას ქ # 6 , ნაწილი 92,5 კვ.მ გაქირავდა (საოპერაციო იჯარა), შესაბამისად შენობა-ნაგებობის გაქირავებული ნაწილი იყო გადატანილი საინვესტიციო ქონებაში. ხოლო 2019 წლის ოქტომბრის თვიდან შეწყდა საიჯარო ხელშეკრულება არაეთჯერადი გაფრთხილების საიჯარო ქირის გადაუხდელობის გამო.2022 წლის აგვისტოდან 2023 წ აგვისტომდე ახალ კლიენტთან გაფორმდა ახალი საიჯარო ხელშეკრულება. ამჟამად კომპანია ეძებს ახალ კლიენტს ფართობის გაქირეებისთვის.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის უნდა ჩატარდეს ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს აქტივების შესაძლო გაუფასურების ნიშნები, მაშინ უნდა შეფასდეს ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდეს მის საბალანსო ღირებულებას. იმ შემთხვევაში, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო

ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო

გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში -

პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები -ს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღნიშნული თანხები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტებს არ ითვალისწინებს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

შენიშვნა 5

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.24	ნაშთი 31.12.23
1	ვალდებულება მომსახურებიდან 3100	19204.83	5951.03
2	სესხი პარტნიორისგან 3160	56136	
3	სხვა ვალების 1410, საპენსიო 3375	278326.9	228724.75
4	სხვა მოთხოვნები 1430	63.61	
	ჯამი	353731.3	234675.8

საბაღასახადო ვალდებულებები

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.24	ნაშთი 31.12.23
1	მიწის გადასახადი	306.82	278.67
3	მოგების გადასახადი	15487.33	14721.1
4	საშემოსავლო გადასახადი	19685	26649
5	სხვა / დღგ		
6	ქონების გადას	4188	3239
7	სადაო თანხა, ჯარიმა, სანკონ	2359.98	2359.98
	ჯამი	42027	47248

ბანკის სესხები

სესხები თავდაპირველად საოპერაციო ფასით აისახება (ანუ კრედიტორისათვის გადასახდელი თანხის ახლანდელი ღირებულება, საოპერაციო ხარჯების ჩათვლით). საპროცენტო ხარჯი აისახება ფინანსურ ხარჯებში. სესხები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუკი კომპანიას არ გააჩნია უპირობო უფლება აღნიშნული ვალდებულების გასტუმრების გადავადების შესახებ, ანგარიშგების თარიღიდან არანაკლებ 12 თვის ვადით.

2022 წელს დეკემბერში პროკრედიტ ბანკთან გაფორმებული ერთ წლიანი საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება ლარში, წინაპირობა იყო 13000 ლარის დეპოზიტზე გადატანა, აქედან გამომდინარე გასათვალისწინებელიაის გარემოება, რომ 01/01/23 წ მდგომარეობითუხლი“ფულადი სახსრები და ექვივალენტი “ მოიცავს სადეპოზიტო თანხასაც.

01/01/25 წ მდგომარეობით კომპანიას არ ერიცხება საბანკო სესხი, მაგრამ აქვს აღებული სესხი 20000\$/56136 ლარი ერთ-ერთ დამფუძნებლისგან,რათა გასტუმრებული იყო გემთმფლობელის დავალიანება.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

საკუთარი კაპიტალი კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა კომპანიის წესდებით განისაზღვრება. კომპანიის წესდებაში ცვლილებების შეტანა (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, საკუთრების უფლების ცვლილება), მხოლოდ კომპანიის მესაკუთრეების გადაწყვეტილებით ხდება.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან (მომსახურების გაწევიდან) აღიარდება მაშინ, როცა მყიდველს საქონელი (მომსახურება) მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლები ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულების ოდენობით. გაყიდვები ნაჩვენებია დღგ-ს გარეშე. კომპანიის შემოსავლების უმეტესი ნაწილი ჩათვლის უფლებით დღგ-ისგან გათავისუფლებულია.

შენიშვნა 7

პერიოდის ამონაგები

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.24	ნაშთი 31.12.23
1	აგენტირება		
2	ექსპედირება-ტვირთი		
3	ექსპედირება-კონტეინერ	1370895.39	2256140.57
4	საბუთების გაფორმება		
5	ბაგირების რეექსპორტი/მიწ გემზე		
6	დღგ დასაბეგრი ბრუნვა		
7	სხვა საოპერ შემოსავ		
8	ბლექსი პაილოტი -ვალის პატიება	12904.83	14632.51
	ჯამი	4636303.19	6450876.32

შენიშვნა 8

სხვა შემოსავლები

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.24	ნაშთი 31.12.23
1	საკუროს სხვაობა	21306.13	17567.28
2	საპროც შემოსავლები	2298.18	1848.55
3	საპენსიო ფონდის პროც/სუბსიდიები 8150		
4	საკრედ დავალ 3 წ მეტი ჩამოწერა	0	27039.42
5	კომპენს სადამღვ კომპანიიდან	4.18	
	ჯამი	23608.5	46455.3

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. შპს “TERO MARITIME AGENCY” ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამოწვევებისა (მათ შორისაა კომერციული ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი, ე.წ. “ესტონური”, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

დღგ კომპანიის მიერ გაყიდვების/მომსახურების გაწევის ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელია მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურების შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში. კომპანიას შეუძლია განახორციელოს დღგ-ს ჩათვლა შესაბამისი ჩასათვლელი თანხების დეკლარირების გზით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დაშვებულია გადამხდელის მიერ დღგ-ის თანხის გადახდა ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლის გათვალისწინებით). შესაბამისად, კომპანიის მიერ განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების საფუძველზე გადასახდელი დღგ, რომლის გადახდაც არ მომხდარა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება (აღიარდება) ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლების გათვალისწინებით).

კომპანიის შემოსავლების უმეტესი ნაწილი ჩათვლის უფლებით დღგ-ისგან გათავისუფლებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები, ბიულეტენები, პრემიები და არაფულადი სარგებლები კომპანიის მიერ ექვემდებარება დარიცხვას იმავე პერიოდში, რომელშიც კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული. კომპანიას არ აქვს რაიმე სახის საპენსიო ან მსგავსი პროგრამის (მათ შორის თანამშრომლის სამსახურის შემდგომი სარგებლის სახით) იურიდიული თუ არაკონტრაქტული ვალდებულება. არსებითობის პრინციპიდან გამომდინარე, კომპანიის მიერ არ ხდება გამოუყენებელი შვებულების ანარიცხების აღრიცხვა ფინანსურ ანგარიშგებაში (არაარსებითობის გამო).

დივიდენდის განაწილება დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა .

ფინანსური ანგარიშგებების შესწორება გამოცემის შემდეგ ნებისმიერი ცვლილების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში, მისი გამოცემის შემდეგ, დამტკიცებას ექვემდებარება კომპანიის

იმავე მენეჯმენტის მიერ, რომლის მიერაც მოხდა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების ავტორიზაცია გამოცემის მიზნით.

3. განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი წყაროები ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა ძირითადი საშუალების და არამატერიალური აქტივის ერთეულის სასარგებლო გამოყენების ვადის შეფასება (განსაზღვრა) მენეჯმენტის მსჯელობის საგანს წარმოადგენს, შესაბამისი გამოცდილების გათვალისწინების შედეგად. აქტივის გამოყენების ვადის განსაზღვრისას მენეჯმენტი ითვალისწინებს აქტივის მოსალოდნელ გამოყენებას, მის ტექნიკურ მახასიათებლებს, ფიზიკურ ცვეთას და იმ ფიზიკურ გარემოს, რომელშიც ხდება

აქტივის გამოყენება. ზემოაღნიშნული პირობების ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება მომავალი ცვლის განაკვეთის კორექტირება გამოიწვიოს.

გადავადებული და მიმდინარე მოგების გადასახადი

2016 წლის 13 მაისს შეტანილ იქნა ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის 01 იანვრიდან და შეეხო კომპანიის მოგების გადასახადის აღიარებისა და განსაზღვრის პრინციპებს (კომერციული ბანკის, საკრედიტო კავშირის, სადაზღვევო ორგანიზაციის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და ლომბარდის გარდა). ეს ცვლილებები შეეხო კომპანიის მიერ გადავადებული მოგების გადასახადის აქტივებს და ვალდებულებებს. კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 01 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით. დივიდენდების გადახდის შემთხვევაში გამოიყენება 15%-იანი მოგების გადასახადი ე.წ. “დაგროსილი” თანხიდან (ჯერ უნდა მოხდეს გასაცემი დივიდენდის ნეტო თანხის დაგროსვა 5% საშემოსავლო გადასახადის გათვალისწინებით და შემდეგ 0,85 გაყოფით მიიღება მოგების გადასახდით დასაბეგრი ბაზა), რომელიც გადახდილ უნდა იქნეს დივიდენდის ფიზიკურ პირზე, ან არარეზიდენტ იურიდიულ პირზე გაცემის მომენტში, იმისდა მიუხედავად, ეს განაცემი ფულადი თუ არაფულადი სახით არის შესრულებული. აღნიშნული საგადასახადო ცვლილებით, რეზიდენტ საწარმოს 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული აკუმულირებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილებისას, უფლება აქვს ჩაითვალოს ამ პერიოდების მიხედვით დარიცხული (დეკლარირებული) და გადახდილი მოგების გადასახადის თანხა, მაგრამ არაუმეტეს დივიდენდის განაწილებაზე გათვალისწინებული მოგების გადასახადის თანხისა. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც იმ პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი, როდესაც ხდება დივიდენდების გაცემა (მიუხედავად იმისა, თუ რომელი პერიოდის დივიდენდის გაცემა ხდება).

შენიშვნა # 10

შპს “Tero Maritime Agency“-ს

2023 წელს

2023 წელს არ იყო გამოცხადებული დივიდენდები(წმინდა დივიდენდი

დარიც მოგების გადას ფ/პ გაცემულ სესხებზე,არაეკონ ხარჯებზე,ჩამოწ უიმედო დებიტ დავალ- 7171,18 ლარი(აისახება სხვა საოპერაციო ხარჯებში),გამოკლებით (შესამცირებელი მოგების გადასახადი დაბრუნებულ სესხზე $28110/0,85*15\%=4960,58$ ლარი $7171,18-4960,58=2210,60$ ლარი(აისახება სხვა საოპერაციო ხარჯებში)

2023 წ მოგების გადასახადის ხარჯი შეადგენს 2210,60 ლარი

გვერდი 23

2024 წელს

არც 2024 წელს არ იყო გამოცხადებული დივიდენდები(წმინდა დივიდენდი

დარიცხული მოგების გადას 2024 წ შეადგენდა- ფ/პ გაცემულ სესხებზე,არაეკონ ხარჯებზე,ჩამოწ უიმედო დებიტ დავალ- 3736,83 ლარი(აისახება სხვა საოპერაციო ხარჯებში),გამოკლებით (შესამცირებელი მოგების გადასახადი დაბრუნებულ სესხზე $5500/0,85*15\%=970,60$ ლარი
 $3736,83-970,6=2766,23$ ლარი(აისახება სხვა საოპერაციო ხარჯებში)

შესაბამისად 2024 წ მოგების გადასახადის ხარჯი შეადგენს 2766,23 ლარი

საერთაშორისო კომპანიის სტატუსი

შენიშვნა # 11

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 8 ოქტომბრის # 619 დადგენილების თანახმად 2020 წლის 26 ოქტომბერს მივმართედ შემოსავლების სამსახურს (ყველა საჭირო დოკუმენტაციის წარდგენით) განცხადებით,რათა ჩვენ კომპანიას მიენიჭოს საერთაშორისო კომპანიის სტატუსი.

2021 წელს 15 იანვარს საქართველოს მთავრობის განკარგულებით # 30 ჩვენ კომპანიას მიენიჭა საერთაშორისო კომპანიის სტატუსი.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 22 მარტს # 516 განკარგულების საფუძველზე 2022 წლის 01 იანვრიდან გაუქმდა ადრე მინუჭებული საერთაშორისო კომპანიის სტატუსი, რის საფუძველზე მოხდა მოგების და საშემოსავლო გადასახადების გადათვლა და შესაბამისი დეკლარაციების დაკორექტირება.

ფინანსური ანგარიშების შედგენის შემდეგ მომხდარი მოვლენები

კომპანიის ფინანსური ანგარიშის შედგენის შემდეგ რაიმე სახის მნიშვნელოვანი მოვლენა არ მომხდარა.

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ინდივიდუალური

ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 19 სექტემბერს.

დირექტორი

თ. სურმანიძე

